



საინვესტიციო პროცესი და მისი ადგილი საბანკო საქმიანობაში

რეზიუმე

საქართველოს თანამედროვე ბანკების საინვესტიციო საქმიანობის შინაარსის, მისი განხორციელების ფორმებისა და მეთოდების, მართვის სადმი ორგანიზაციისა და მიდგომების ხერხების კვლევა საჭიროებს ინვესტიციათა თეორიული საფუძვლების შესწავლას და მათი სპეციფიკის გარკვევას საბანკო სფეროსთან მიმართებაში. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულადაა განხილული საინვესტიციო პროცესი და მისი ადგილი საბანკო საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ინვესტიციები, კაპიტალური დაბანდება, საინვესტიციო საქმიანობა, ფინანსური შუამავლები, საინვესტიციო პროექტები, საინვესტიციო ბანკინგი.

შესავალი

არსებული მიდგომები ინვესტიციების შინაარსის განმარტებისადმი ძალზე მრავალფეროვანია. ინვესტიციები წარმოადგენენ როგორც ზოგადი ეკონომიკური თეორიების (კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიები, კეინსიანელობა, ინსტიტუციონალიზმი), ისე კერძო თეორიების (ფინანსური თეორია, ფირმის თეორია, ეკონომიკური ზრდის თეორია) შესწავლის საგანს. ინვესტიციების საკუთარ განსაზღვრებებს გვთავაზობენ სპეციალური თეორიები (პორტფელური ინვესტიციების თეორია, საინვესტიციო მენეჯმენტის თეორია).

მიდგომების მთელ მრავალფეროვნებას შორის ინვესტიციების ყველაზე ზოგად მახასიათებელს წარმოადგენს მათი, როგორც საშუალებათა შემოსავლიანი დაბანდების განმარტება. ასეთი განსაზღვრება საკმაოდ ზოგადია, მაგრამ ამასთან, საკმაოდ უშინაარსო ინვესტიციების ფენომენი აქ დაიყვანება პროცესის დახასიათებად ისე, რომ არ გაიხსნას მისი არსი და შინაარსი. მოცემული განსაზღვრების ფარგლებს გარეთ რჩება, აგრეთვე, საშუალებათა დაბანდების მიზნების მიღწევის ხერხები, მისი განხორციელების ფორმები, დანიშნულება და ეკონომიკური როლი. და ბოლოს, ჩვენი კვლე-

მერაბ მანისვილი

სტუ-ის პროფესორი

E-mail: merabvanishvili@yahoo.com

ნიკოლოზ ნაცვლიშვილი

სტუ-ის დოქტორანტი

E-mail: nikoloz.natsvlishvili@yahoo.com

ვის საგნის ასპექტში ინვესტიციების, როგორც საშუალებათა დაბანდების ფორმის განმაზოგადებელი განსაზღვრების ძალზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს საბანკო საქმიანობისადმი მისი გამოყენების შეუძლებლობა: ინვესტიციების, როგორც შემოსავლის მიღების მიზნით საშუალებათა დაბანდების განსაზღვრების ქვეშ ექცევა კომერციული ბანკის საქმიანობის ყველა მხარე, რომელიც დაკავშირებულია როგორც ანაბრებსა და დეპოზიტებზე საშუალებების მოზიდვასთან, ისე მათ განთავსებასთან, თანაც როგორც შემოსავლიან (კრედიტები, ფასიან ქაღალდებში დაბანდებები და სავალუტო ფასეულობები), ისე არაშემოსავლიან (კაპიტალური დაბანდებები, რეზერვები) აქტივებში.

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, კვლევის საგნობრივი სფეროს განსაზღვრა, მისი გამოყენებითი ხასიათის მიუხედავად, მაინც საჭიროებს ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ცნებითი აპარატის შემუშავებას და ინვესტიციათა თეორიის საკითხების დაზუსტებას.

ძირითადი ტექსტი

ინვესტიციების ყველაზე ცნობილი განსაზღვრებების მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის, რომ ცნება „ინვესტიციები“ ძალზე ტევადია და გამოიყენება ეკონომიკური მეცნიერების მრავალ განყოფილებაში და პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა დარგებში. თითოეული არსებული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ამ მრავალწახნაგოვანი ცნების ერთ-ერთ მხარეზე. ეს მიდგომები წარმოიშვნენ და ვითარდებიან განსაზღვრული ეკონომიკური სკოლების ჩარჩოებში თავიანთი დაგროვილი ცოდნითა და ტრადიციებით და ინვესტიციებს განსაზღვრავენ კონკრეტული მეცნიერული ან პრაქტიკული ამოცანების თვალთახედვით. ამავე დროს, ყველა მიდგომა სარწმუნოა თავისი შემთხვევისათვის და თავის ჩარჩოებში და არსებულ



მრავალფეროვნებას შორის შეუძლებელია ავირჩიოთ ერთი მაქსიმალურად სრული და ამომწურავი მიდგომა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დაგვეხასიათებინა „ინვესტიციების“ რთული ცნების ყველა მხარე. ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს უპერსპექტივოს ხდის ინვესტიციების ყველაზე ზუსტი განსაზღვრების ძიებას.

ინვესტიციების შესწავლისადმი თეორიული მიდგომების განხილვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგად ვთვლით ინვესტიციების, როგორც პროცესისა და ინვესტიციების, როგორც მოვლენის განსხვავების აუცილებლობას. ინვესტიციები, როგორც პროცესი ტრადიციულად განიხილება საშუალებათა დაბანდებაზე მათი მფლობელის მოქმედებების ასპექტში, შემოსავლიანი გამოყენების მიზნით. აქ პირველ ადგილზე დგას ინვესტიციების განხორციელება, ე.ი. პრიორიტეტი ენიჭება მოქმედებებს. ინვესტიციების, როგორც მოვლენის შესწავლისას ყურადღების სფეროში ჩაირთვება უფრო რთული ჯაჭვი „რესურსები დაბანდება შედეგი“. ინვესტირებადი საშუალებების არსებობა, ისევე, როგორც მათი გამოყენების დადებითი შედეგი, უკვე არ მიიჩნევა როგორც მოცემულობა რესურსები უნდა მოიძებნოს, მათ მფლობელს უნდა ჰქონდეს მათი ინვესტირების სურვილი, ხოლო სასურველი შედეგი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს. შესასწავლი საკითხების უფრო ფართო სპექტრი გვაიძულებს მხედველობაში მივიღოთ ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა უფრო დიდი რაოდენობა. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, რადგან გვაძლევს შესაძლებლობას განხილვის წრეში ჩავრთოთ ისეთები ფინანსური შუამავლები, როგორებიც არიან ბანკები.

განზოგადების სახით შეიძლება ავღნიშნოთ, რომ მიდგომების მთელი განსხვავებისას, ინვესტიციათა მოყვანილი განმარტებების უმრავლესობა, აღნიშნავს რა ინვესტიციათა ეკონომიკური ფენომენის სხვადასხვა მხარეებს, არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ არსებობს რაღაც გამართიანებელი საწყისი, რომელიც უზრუნველყოფს არსებული განსაზღვრებებისთვის ზოგად საწყის გზავნილს, მაგრამ არ ხვდება თვით განსაზღვრების შემადგენლობაში, რადგან არ ატარებს „ინვესტიციის“ მოვლენის შინაარსის თვალსაზრისით არსობრივ მნიშვნელობას.

ასეთ საწყისად ჩვენ მივიჩნევთ ინვესტიციების, როგორც ინვესტორის რაღაც ინვესტიციური იდეის, ფინანსირებადი ღონისძიებების, ე.ი. პროექტის, მოსალოდნელი მსვლელობის რაღაც სახის რეალიზაციაზე ინვესტორის მიზან-

მიმართული მოქმედებების ზოგად გაგებას. აღნიშნული ნიშანთვისება დამახასიათებელია საინვესტიციო საქმიანობისთვის, ისევე, როგორც ადამიანის ყოველგვარი სხვა საქმიანობისთვის, და საეჭვოა, რომ ჩაითვალოს ინვესტიციების არსობრივ მახასიათებლად, რომელიც განასხვავებს ამ მოვლენას ნებისმიერი სხვა მოვლენისაგან. მიუხედავად ამისა, საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან ინვესტიციების პირდაპირი და უშუალო კავშირის ფაქტი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებულია ფინანსური ნაკადები: პირდაპირი და ირიბი, დაგროვებითი და გამანაწილებელი, გამაშუალებელი და უზრუნველყოფი, რომლებიც ამზადებენ პროექტის რეალიზაციას და ასრულებენ მას. ბანკის მონაწილეობა ასეთი ფინანსური ნაკადების მოძრაობაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ინვესტორად გამოდის თვით ბანკი, არ წარმოადგენს მათი განხორციელების აუცილებელ სამართლებრივ ან ეკონომიკურ პირობას. მაგრამ უეჭველია მეორე ბანკი, არის რა ფინანსური შუამავალი, დაინტერესებულია იმაში, რომ დადგეს ასეთი ნაკადების გზაზე, და ზოგადად საბანკო ფინანსური შუამავლობის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს კონტროლი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ფინანსურ ნაკადებზე.

ფინანსური შუამავლების ცნობილი თეორიის თვალსაზრისით, ბანკის ასეთი ინტერესის რეალიზაციისთვის არსებობს არა მარტო შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობა. როგორც ეს თეორიიდან გამომდინარეობს, დაგროვილი თანხების უმრავლესობა, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელების წყაროს, არის თანხებითა და ვადებით უმნიშვნელო დანაზოგის სახით, რაც არ იძლევა მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტების განხორციელებისთვის მათი უშუალო გამოყენების საშუალებას. ფინანსური შუამავლები უზრუნველყოფენ ამ დანაზოგის აკუმულაციას და მათ გარდაქმნას ინვესტიციებად.

ვეყრდნობით რა ზემოთ მოტანილ მსჯელობას, ჩვენ მხარს ვუჭერთ საბანკო საინვესტიციო საქმიანობის შინაარსის გახსნისადმი მიდგომას, რომლის თანახმად, იგი განიხილება არა მარტო როგორც საინვესტიციო მიზნებით გრძელვადიან აქტივებში საშუალებათა დაბანდებასა და დაკრედიტებაზე ბანკის საკუთარი საქმიანობა, არამედ, უფრო ფართო გაგებით, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესების რეალიზაციაში ბანკის მონაწილეობა.



შემოთავაზებულ მიდგომას ჩვენ არ ვუპირისპირებთ სხვა ცნობილ მიდგომებს. კერძოდ, ის საფუძვლით ჯდება საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი განმარტების ჩარჩოებში, რომელსაც გვაძლევს ციტირებული კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. კანონის 1ელი მუხლის თანახმად, „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში“ [1].

საინვესტიციო საქმიანობის მოცვანილი განსაზღვრების ქვეშ ექცევა გ.ს. პანოვას თვალსაზრისიც, რომელიც საინვესტიციო ოპერაციების სახით განიხილავს ბანკის აქტიური ოპერაციების მთელ კომპლექსს [2]. ჩვენ არ ვხდით სადავოდ ამ განსაზღვრებას, მაგრამ ავლნიშნავთ, რომ ბანკების ბალანსგარეშე ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილიც ასევე მიეკუთვნება საინვესტიციო ოპერაციას რიცხვს.

მოცემული პრობლემატიკის ასპექტში ყველაზე შემუშავებულად და საყურადღებოდ მიგვაჩნია ს.ვ. ჟუკოვის თვალსაზრისი, რომელიც საბანკო ინვესტირების რთულ პროცესს განიხილავს როგორც ორი შემადგენლის: ბაზარზე შემოსავლიანი დაბანდებების ობიექტების ძიებაზე მიმართული ინვესტირებისა და საჭირო საშუალებებით საინვესტიციო დაბანდებების უზრუნველყოფი დაფინანსების ერთობას. ჟუკოვის მიერ შემოთავაზებულ მიდგომას საფუძვლად უდევს გაგება იმისა, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებული მოქმედებები ხორციელდება დაფინანსების წყაროებით, რომლებიც, ამრიგად, გამოდიან ობიექტად, რომლისკენაც მიმართულია მმართველობითი ზემოქმედება. „შესაბამისი მოქმედებებისა და სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდული საშუალებების გარდაქმნის შედეგად ჩნდება საინვესტიციო საშუალებები“, თვლის ავტორი [3]. ინვესტირების პროცესი კი მის მიერ განიხილება როგორც დაბანდებული საშუალებების ანაზღაურებისთვის და საინვესტიციო მოგების მიღებისათვის საკმარისი შემოსავლის მომტანი საინვესტიციო ობიექტების შეძენაზე ან შექმნაზე საინვესტიციო საშუალებების ხარჯვასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ვანვითარებთ რა დასახელებულ მიდგომას, საჭიროდ ვთვლით დავაზუსტოთ, რომ ბანკების მონაწილეობა საინვესტიციო პროექტების რეალიზაციაში არ იზღუდება და არ უნდა შეიზღუდოს მათი დაფინანსებით ბანკის მხრიდან.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციაში ბანკის არაფინანსირებადი მონაწილეობის ფორმების რაოდენობა მუდმივად იზრდება, ქმნის რა საბანკო საქმიანობის მთელ მიმართულებას, რომელიც იწოდება საინვესტიციო ბანკინგად და, რომელიც მოიცავს მართვას კლიენტების საინვესტიციო პორტფელებით, მონაწილეობას შერწყმისა და შთანთქმის განხორციელებაში, საინვესტიციო ბიზნესით დაინტერესებული კლიენტების ბროკერულ, აგრეთვე, სადეპოზიტო და საკონსულტაციო მომსახურებას.

საბანკო საინვესტიციო საქმიანობის შინაარსის საკითხზე არსებული თვალსაზრისების განხილვის შედეგის სახით საჭიროდ მიგვაჩნია ავლნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა არ უარყოფს საბანკო საინვესტიციო საქმიანობის სხვა განმარტებათა შესაძლებლობას. როგორც ნებისმიერ სხვა მიდგომას, ჩვენს მიერ არჩეულ მიდგომასაც გააჩნია თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ჩვენ მხოლოდ ვთვლით, რომ საბანკო საინვესტიციო საქმიანობის, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესების რეალიზაციაში ბანკის როგორც საკუთარი სახსრების ხარჯზე ფინანსირებადი, ისე არაფინანსირებადი მონაწილეობის გაფართოებული განმარტება ყველაზე მეტადაა ადექვატური საბანკო საინვესტიციო მენეჯმენტის იმ მიზნებთან, რომელიც არჩეულია ჩვენი კვლევის საგნად.

ასევე საჭიროდ ვთვლით იმის დაზუსტებას, რომ ჩვენს მიერ არჩეული საბანკო საინვესტიციო საქმიანობის გაფართოებული განმარტება არ გულისხმობს მის გაიგივებას საბანკო საქმიანობასთან, მთლიანად. საბანკო საინვესტიციო საქმიანობის თავისებურებათა დეფინიციისთვის ჩვენ ვთავაზობთ საბანკო საინვესტიციო საქმიანობასთან სავაჭრო საქმიანობის შედარების ხერხის გამოყენებას, რომელიც ასევე წარმოადგენილია ბანკის მიერ თავისი ფინანსური შუამავლის ფუნქციების შესრულების პრაქტიკაში.

ვადარებთ რა ერთმანეთს საბანკო საქმიანობის ამ მხარეებს, ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას იმის შესახებ, რომ საინვესტიციო საქმიანობის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს შემოსავლის მიღება ინვესტიციების განხორციელების შედეგად შეძენილი აქტივის დაკავების საფუძველზე. საწინააღმდეგოდ ამისა, ბანკის სავაჭრო საქმიანობაში აქტივის შეძენის აზრი მდგომარეობს მის გადაყიდვაში. სწორედ ასე იქცევა ბანკი, როდესაც აყალიბებს ფასიან ქაღალდებში დაბანდებათა საკუთარ სავაჭრო პორტფელს, ანალოგიური მოტივები ამოძრავებს ბანკს



გაცემულ კრედიტებზე მოთხოვნის უფლების დათმობისას.

ბანკის საინვესტიციო საქმიანობის სხვა სპეციფიკურ ნიშნებს წარმოადგენს თავისებურებები, რომლებიც განპირობებული არიან მისი სუბიექტური მახასიათებლებით, სახელდობრ, საქმიანობის საბანკო ფორმით.

საკითხი საბანკო საინვესტიციო საქმიანობის სპეციფიკის შესახებ საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. საბანკო ინვესტიციების ასეთ საყოველთაოდ აღიარებულ სპეციფიკურ ნიშნებს შორის ჩვენ საჭიროდ ვთვლით გამოვეყნოთ შემდეგი:

- საბანკო ინვესტირების მიზნების სპეციფიკა, რომელთა შორის პრევალირებენ ინვესტირებული კაპიტალის ღირებულების შენარჩუნებისა და მოგების მიღების მიზნები;

- ბანკის, როგორც საინვესტიციო პროცესების მონაწილის, მდგომარეობის სპეციფიკა, როდესაც ბანკები არა მარტო თვითონ ახორციელებენ ინვესტიციებს, არამედ როგორც ფინანსური შუამავლები, ხელს უწყობენ მეურნე სუბიექტების ინვესტიციური მოთხოვნის რეალიზაციას. ამიტომ საბანკო საინვესტიციო საქმიანობა დაკავშირებულია არა მარტო და არა იმდენად ინვესტიციებში ბანკის საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, რამდენადაც ეკონომიკის სხვა სუბიექტების ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან;

- ბანკის საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის სპეციფიკა, როდესაც კომერციული ბანკების ფინანსური რესურსების სტრუქტურა ხასიათდება საკუთარი კაპიტალის დაბალი დონით და დაფინანსების მოკლევადიანი მოზიდული წყაროების სიჭარბით, რაც განპირობებს ბაზრის მონაწილეთა მოთხოვნილებებთან ბანკების საინვესტიციო რესურსების სტრუქტურის შეუსაბამობას როგორც თანხებით, ისე მათი განხორციელების ვადებით;

- საბანკო საინვესტიციო საქმიანობის ინსტრუმენტების სპეციფიკა, რომლების სახით გამოდიან კრედიტი, ნაღდი და უნაღდო ფული, ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, ხოლო მათი საქმიანობის უპირატეს სფეროდ გამოდიან ფინანსური ბაზრები. აქედან გამომდინარეობს საბანკო საინვესტიციო დაბანდებების კიდევ ერთი განმასხვავებელი თავისებურება რეალურ ინვესტიციებთან შედარებით ფინანსური ინვესტიციების პრევალირება;

- სხვა სუბიექტებთან შედარებით, საინვესტიციო საშუალებათა წყაროებისა და დაფარ-

ვადი საინვესტიციო მოთხოვნილებების განსაკუთრებული მრავალფეროვნება, რაც განსაზღვრავს ინვესტირების მექანიზმების სიმრავლის აუცილებლობასა და შესაძლებლობას;

- კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის მექანიზმების თავისებურებები, რომლებიც ბანკების საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებული არიან სახელმწიფო რეგულირების სისტემით როგორც რისკების შეზღუდვის, ისე რეფინანსირებასთან წვდომის ნაწილში.

განვაზოგადებთ რა ეკონომიკურ ლიტერატურაში ტრადიციულად მოყვანილი საბანკო საინვესტიციო საქმიანობის თავისებურებების დახასიათებას, შესაძლოა მოვახდინოთ კონსტატირება იმისა, რომ ბანკების სარესურსო ბაზაში ნასესხები საშუალებების სიჭარბე და ბანკების საქმიანობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა წინასწარ განსაზღვრავს საბანკო ინვესტირების ისეთ თავისებურებებს, რომლებიც თავიანთი არსით დაიყვანება საბანკო ინვესტირების რისკის მინიმიზაციის, ინვესტიციების ვადების შეზღუდვის, რესურსების მოზიდვის ვადებთან მათი დაბალანსებულობის და ინვესტირების შედეგად შეძენილი აქტივების ლიკვიდურობის ამაღლების აუცილებლობამდე.

ინვესტიციების განხორციელებისადმი ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მიდგომების შესწავლის საფუძველზე ჩვენი კვლევის საგნისადმი ყველაზე შესაფერისად მივიჩნიეთ ი.ა. კოხის მიდგომა, რომელმაც, ამუშავებდა რა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პორტფელური ინვესტირების თეორიის საკითხებს, შემოგვთავაზა პორტფელური და საპროექტო ინვესტირების, როგორც ინვესტირების დამოუკიდებელი ხერხების, განსხვავება [4].

პორტფელური და საპროექტო მიდგომების ასეთი განმარტება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ თითოეული მათგანის რეალიზაციის უპირატეს სფეროდ გამოდიან, შესაბამისად, ბანკის საკუთარი საინვესტიციო საქმიანობა და ბანკის მონაწილეობა სხვისი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციაში.

ბანკის საკუთარი საინვესტიციო საქმიანობისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია პორტფელური მიდგომები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობენ თავისუფალი ფინანსური რესურსების განთავსების აუცილებლობას. საინვესტიციო იდეის არსებობა, რომელიც ხორციელდება თვით ბანკის ან მისი კლიენტის ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტში ეს საპროექტო ინვესტირების ატრიბუტია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე



საინვესტიციო პროცესების რეალიზაციაში ბანკის მონაწილეობის ყველაზე ფართო ფორმებს.

საბანკო ინვესტიციების განხორციელებისას საბანკო და პორტფელური მიდგომების მნიშვნელოვან თავისებურებად გამოდის ასევე ის, რომ საპროექტო ინვესტირებისას მიღებული გადაწყვეტილება ობიექტის არჩევის შესახებ, როგორც წესი, არ გადაიხედება საინვესტიციო პროექტის დასრულებამდე. სწორედ ასეთი მიდგომა განასხვავებს ბანკის მონაწილეობას საინვესტიციო პროექტების რეალიზაციაში. პორტფელური ინვესტირების დროს კი საბანკო აქტივების პორტფელის შემადგენლობისა და სტრუქტურის გადახედვა შეუზღუდავად ხშირად ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, საშუალებას აძლევს ბანკებს ეფექტურად მართონ თავიანთი საკუთარი ინვესტიციები.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთ ნათქვამს, ვაკეთებთ შემდეგ დასკვნას ინვესტიციების როგორც ეკონომიკური კატეგორიის შესახებ. ამრიგად, ჩვენი აზრით, ინვესტიციები, ეს პროცესია, რომლის დროს ხორციელდება რისკთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტის ყველა სახის ეკონომიკური რესურსის გარდაქმნა გრძელვადიანი და/ან მოკლევადიანი ხასიათის დანახარჯებად შემოსავლის (მოგების) და/ან რომელიმე სხვა ეფექტის სახით სარგებლის მიღების მიზნით.

აქ ეკონომიკური რესურსების ქვეშ ჩვენ გვესმის ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მთელი ერთობლიობა, ხოლო ეკონომიკური სუბიექტების ქვეშ კი საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოები და ორგანიზაციები, სახელმწიფო და მოსახლეობა.

საინვესტიციო პროცესის ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენს ბანკი. როგორც ცნობილია, ბანკი არის ფინანსური ბაზრის წარმომადგენელი. ხოლო ფინანსური ბაზრის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საწარმოო ინვესტიციებად ფინანსური დანაზოგების ტრანსფორმაციაში. ფინანსური ბაზრის ფორმირების ობიექტურ წინაპირობას წარმოადგენს საწარმოების მხრიდან ფულად სახსრებზე მოთხოვნილებებისა და მათ დასაკმაყოფილებლად წყაროების არსებო-

ბის დაუმთხვევლობა. ამასთან, ფინანსური საშუალებები გააჩნიათ მათ მფლობელებს, ხოლო საინვესტიციო მოთხოვნილებები წარმოიქმნება საბაზრო ურთიერთობების სხვა სუბიექტებში. ფინანსური ბაზრის დანიშნულება მდგომარეობს სწორედ შუამავლობაში ფინანსური რესურსების, მათი მფლობელებიდან (დამზოგველებიდან) მომხმარებლებამდე (ინვესტორებამდე), მოძრაობაში.

ბანკების ინვესტიციების ქვეშ, ჩვეულებრივ, გაგებულია ფულადი საშუალებების ვადიანი დაბანდებები შემოსავლების ან მოგების მიღების მიზნით. ამ თვალსაზრისით, ბანკების პრაქტიკულად ყველა აქტიური ოპერაცია შეიძლება განიხილებოდეს ინვესტიციების სახით. უფრო ვიწრო გაგებით, ბანკების საინვესტიციო ოპერაციების ქვეშ გაგებულია სახსრების დაბანდებები ფასიან ქაღალდებში. ამრიგად, საინვესტიციო ოპერაციებისას ბანკი წარმოადგენს მრავალი კრედიტორებიდან ერთ-ერთს მაშინ, როდესაც საკრედიტო ოპერაციების დროს ბანკი ჩვეულებრივ, მართალია არა ყოველთვის, გამოდის ერთადერთი კრედიტორის როლში.

ჩვენი აზრით, საბანკო ინვესტიციები ეს არის ბანკის საკუთარი და ნასესხები საშუალებების გარდაქმნა საწარმოო აქტივებად (აქტივებად, რომლებსაც მოაქვთ შემოსავალი) რისკის დასაშვები დონით, რომლებმაც შედეგად მათი გამოყენებისას უნდა შექმნან ახალი ლიკვიდურობა და უზრუნველყონ საკრედიტო ორგანიზაციის მიმდინარე და გრძელვადიანი საიმედოობა (სიცოცხლისუნარიანობა).

დასკვნა

ამრიგად, ბანკის საინვესტიციო საქმიანობის ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს ინვესტიციების მართვის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაზე, ინვესტიციების ოპტიმალური შეთანაწყობის მიღწევაზე, ოპერაციების მომგებიანობის გაზრდაზე, საინვესტიციო აქტივების რისკიანობისა და ლიკვიდურობის დასაშვები დონის შენარჩუნებაზე მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304>
2. Панова Г. С. Анализ финансового состояния коммерческого банка. М.: Финансы и статистика, 1996.
3. Жуков С. в. Современные формы и методы финансирования инвестиционной деятельности банка. Автореф. дисс. канд. экон. наук. Саратов, 2008.
4. Кох И. А. Портфельное и проектное инвестирование как методы осуществления инвестиционной деятельности // Финансы и кредит. 2008. № 24.
5. ასათიანი ვ., ცაავა გ. კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი, 2014.
6. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე. სახელმძღვანელო. თბილისი, 2014.
7. ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული). შემდგენელი პროფ. ლ. ქოქიაური. თბილისი, 2009.
8. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>; <http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; <http://www.bbi.ge>; <http://www.doingbusiness.org>; <http://rs.ge>

REFERENCES:

1. Georgian Law on “Investment Activity Promotion and Guarantees”: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304>
2. Panova GS Analysis of the financial condition of a commercial bank. Moscow: Finance and Statistics, 1996.
3. Zhukov S. in. Modern forms and methods of financing the investment activity of the bank. Author’s abstract. Diss. cand. Econ. Sciences. Saratov, 2008.
4. Kokh IA Portfolio and project investment as methods of investment activity // Finance and credit. 2008. № 24.
5. Asatiani V., Caava G. Commercial banks, financial analysis (theory, methods and practices). Tbilisi, 2014.
6. Kovzanaze I., Kontrize G. Modern Banking. Manual. Tbilisi, 2014.
7. Finance, Investments, Banking. Encyclopedic Terminology (English-Russian-Georgian). PRO compiler prof. L. Qoqiauri. Tbilisi, 2009.
8. Internet resources: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>; <http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; <http://www.bbi.ge>; <http://www.doingbusiness.org>; <http://rs.ge>

THE INVESTMENT PROCESS AND ITS PLACE IN BANKING ACTIVITIES

MERAB VANISHVILI

GTU, Professor

E-mail: merabvanishvili@yahoo.com

NIKOLAZ NATSVLISHVILI

GTU, PHD Student

E-mail: nikoloz.natsvlishvili@yahoo.com

Summary

In this paper, the latest literary sources and the actual materials, the bank consistently leasing, investment banking activities as a new theory of practice. This makes it possible to be interpreted on the issue of what the banking sector, the leasing business development and how it is related to increasing the quality of customer service and thus increase the number of their traditional ties and partnerships with clients to establish a new relationship opportunities.

Keywords: investment banking, capital investment, investment activity, financial intermediaries, investment projects, investment banking.